საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

18/01/2018

5-07-4-201801182152

N 5

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**დადგენილება №5**
**2018 წლის 18 იანვარი**
**ქ. ლანჩხუთი**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დანართი N1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დანართი N2-ის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა დანართი N3-ის შესაბამისად.

**მუხლი 4.** ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №6 დადგენილება (ვებგვერდი 03/02/2015, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016207).

ბ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილება (ვებგვერდი 03/02/2015, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016208).

**მუხლი 5.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

*დანართი N1*

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები**

| N | თანამდებობათა დასახელება | თანამდებობრივი სარგო (ლარში) |
|---|---|---|
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარე | 2650 |
| 2 | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 2000 |
| 3 | საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე | 1700 |
| 4 | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე | 1700 |
| 5 | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე | 1250 |

*დანართი N2*

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები**

| თანამდებობათა დასახელება | რიცხოვნობა | თანამდებობრივი სარგო (ლარში) |
|---|---|---|
| პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) | 1 | 1500 |
| **მეორადი სტრუქტურული ერთეული საორგანიზაციო განყოფილება** | **5** | |
| მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) | 1 | 1200 |
| მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) | 1 | 800 |
| მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში) | 1 | 800 |
| მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 800 |
| მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 800 |
| **მეორადი სტრუქტურული ერთეული (სამდივნო)** | **10** | |
| მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი) | 1 | 1100 |
| მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 4 | 700 |
| მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 5 | 650 |

*დანართი N3*

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა**

| პოზიციის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|
| საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე | 1 |
| სპეციალისტი კომპიუტერული მომსახურების დარგში | 1 |
| საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი | 1 |
| საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი | 1 |
| საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მდივანი | 1 |
| დამლაგებელი | 1 |